საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დირექტორის

ბრძანება

№ 0796/01

06/09/2018

საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მქონე პირთა სიის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 30 მაისის №101/37 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სერტიფიცირების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2013 წლის 12 აპრილის №71/37 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სერტიფიცირების წესის და პირობების 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მქონე პირთა სია დანართის შესაბამისად.
2. აღნიშნული სია გამოქვეყნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში.

დავით აზმაიფარაშვილი
დირექტორი